ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №662192

ნომერი: AR1126683

თარიღი : 22.04.2013

გაცემის თარიღი : 10.05.2013

გაცნობის თარიღი : 11.05.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი ლილო, ვარკეთილის მეურნეობა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარ ჭიჭინაძე პ/ნ 01001055395
- თბილისი გლდანი VII მ/რ კორ. 12 ბ. 146

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

2013 წლის 22 აპრილს #AR1126683 განცხადებით ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურს მომართა მოქალაქე თამარ ჭიჭინაძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, დიდი ლილო, ვარკეთილის მეურნეობა, ნაკვეთ #139–ზე (საკადასტრო კოდი #81.08.24.139) სასტუმრო კომპლექსის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა.

საპროექტო მიწის ნაკვეთი დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი-რუკის მიხედვით მდებარეობს სარეკრეაციო ზონა 2-ში (რზ-2). რზ-2 წარმოადგენს სარეკრეაციო ზონას, რომელიც მდებარეობს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში და მოიცავს გამწვანებულ ტერიტორიას (მაგ.: პარკი, ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი), ღია სათამაშო მოედნებს და მსგავსი ტიპის სხვა ტერიტორიებს. ასევე დასაშვებია ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 29 მარტის #4-13 გადაწყვეტილების დანართი 1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური ზონალური ნებართვით დაშვებული სახეობების არსებობა. ამასთან

ტერიტორიაზე ვრცელდებათბილისის ზღვის “ჩარჩო გეგმა”, რომელიც განსაზღვრავს ამ ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი განვითარების სტრატეგიულ მიმართულებას, დაზუსტებულ ზონებს და ქვეზონებს, ძირითად სატრანსპორტო მაგისტრალებს, მათ მიმართულებებს, კავშირებსა და კატეგორიებს.

სამსახურმა სასტუმრო კომპლექსის განთავსების მიზნით სპეციალური «ზონალური» ნებართვის მინიჭების საკითხი წარადგინა ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომაზე განსახილველად, «ზონალური» კომისიის გადაწყვეტილებით უარი ეთქვა წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე სასტუმრო კომპლექსის განთავსების მიზნით ქალაქთმშენებლობითი პირობებისა და სპეციალური ზონალური ნებართვის გაცემაზე. “ზონალური კომისიის” 2013 წლის 24 აპრილის სხდომის ოქმი #16, პუნქტი 15-ის რეკომენდაციის და სამსახურის გადაწყვეტილების შესაბამისად,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად

ვბრძანებ

1. უარი ეთქვას მოქალაქე თამარ ჭიჭინაძეს ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, დიდი ლილო, ვარკეთილის მეურნეობა, ნაკვეთ #139–ზე (საკადასტრო კოდი #81.08.24.139) სასტუმრო კომპლექსის აშენების მიზნით სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.